# თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის
# საკრებულოს მორიგი სხდომის

## ო ქ მ ი № 13

2016 წლის „25“ აგვისტო

სხდომას თავმჯდომარეობდა: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

ესწრებოდნენ : საკრებულოს 32 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 26 დეპუტატი.

მ. ხიზანიშვილი, ნ.ცაძიკიძე, გ.აზიკური, ნ.ჯანდიერი, მ.გრემელაშვილი, რ.ბოტკოველი,ი.ქევხიშვილი,ზ.მამალაშვილი,ბ.პაპაშვილი, ზ.პარწიკანაშვილი, ტ.დარეჯანიშვილი, მ.თუშიშვილი, ვ.არაბული, ლ.მრელაშვილი, გ.მამუკელაშვილი, გ.აივაზაშვილი, ზ.ლილუაშვილი, მ.მუსაევი, ნ.მაისურაძე, ს.ჩახუტაშვილი, ვ.გალახვარიძე, ზ.ზაზაშვილი. გ.სეხნიაშვილი,მაია ნაცვლიშვილი,ზ.რაიბული.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი მ.შაშიაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი ბ.ხატიაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი ა.ბიწკინაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის და მშენებლობის სამსახურის უფროსი დ.ქსოვრელიშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლ.ბერძენაშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ს.მეგუთნიშვილი.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი გ.დათუკიშვილი.

საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების უფროსის მ/შ ნ.ასანაშვილი.

საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების მოქალაქეთა მოსახურების და საქმის წარმოების განყოფილების უფროსის მ/შ ს.ოხანაშვილი.

პ.გიორგობიანმა დღის წესრიგის დამტკიცებამდე აღნიშნა რომ დღის წესრიგიდან მოიხსნას V საკითხი: თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პაატა გიორგობიანის შევბულების შესახებ და მის ადგილზე განხილულ იქნეს: „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და სახლების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ"თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნას და დამატებით საკითხის დღის წესრიგში შეტანას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 25 დეპუტატმა,მონაწილეობა არ მიიღო ი.ქევხიშვილმა

## <u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. "სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის № 41 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისნ შესახებ

   მომხს: ნ. ცაძიკიძე

   15.00სთ-დან 15.15 სთ-მდე

2. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ" თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

   მომხს: ზ. ხატიაშვილი

   15.15სთ-დან 15.30 სთ-მდე

3. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს: ზ. ხატიაშვილი

   15.30სთ-დან 15.45 სთ-მდე

4. საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დაყენებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ.

მომხს: პ. გიორგობიანი
15.45სთ-დან 16.00 სთ-მდე

5. „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და სახლების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხს: ა.ბიწკინაშვილი
16.00სთ-დან 16.15 სთ-მდე

6. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხს: ა. ბიწკინაშვილი
16.15სთ-დან 16.30 სთ-მდე

შესვენება – 16.30 სთ-დან 17.00სთ-მდე

7. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხს: მ. შაშიაშვილი
17.00სთ-დან 17.15 სთ-მდე

დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე25 დეპუტატმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ი.ქევხიშვილმა.

მოისმინეს: 1. "სააგიტაციო მასალის განთავსების ადგილების განსაზღვრის შესახებ" თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის № 41 განკარგულებაში ცვლილებების შეტანისნ შესახებ

მომხს: ნ. ცაძიკიძე
15.00სთ-დან 15.15 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე24 დეპუტატმა, მონაწილეობა არ მიიღეს ზ.მამალაშვილმა და ი.ქევხიშვილმა.

მოისმინეს: 2. „თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 მარტის №25 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს: ზ. ხატიაშვილი
15.15სთ-დან 15.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: მერაბ თუშიშვილი: იმის გამო, რომ წარმოდგენილი პროექტის ცალკეულ მუხლებზე დეპუტატების აზრთა სხვადასხვაობაა,ჩემი აზრით უკეთესი იქნება, თუ მიწის სავარგულებისა და შენობა-ნაგებობების საპრივატიზებო ნუსხას დასამტკიცებლად ცალკე საკითხად გამოვიტანთ.

პაატა გიორგობიანი: აღნიშნული საკითხი წინა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან იმის გამო იქნა ამოღებული, რომ ზოგიერთი საპრივატიზებო ობიექტის გაყიდვის მიზანშეწონილობის საკითხი კარგად არ იყო დასაბუთებული,რის გამოც წარმოდგენილი გადაწყვეტილების პროექტში ეს ობიექტები აღარ აისახა. დანარჩენი საკითხები მაჟორიტარი დეპუტატების მონაწილეობით ადგილზე დეტალურად იქნა შესწავლილი და დღევანდელ სხდომაზე ისე იქნა წარმოდგენილი, რასაც ვფიქრობ საკრებულოს წევრები მხარს დაუჭერენ.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 22 დეპუტატმა, მონაწილეობა არ მიიღეს რ.ბოტკოველმა,ზ.მამალაშვილმა, მ.თუშიშვილმა, დარბაზიდან გასული იყო ი.ქევხიშვილი).

მოისმინეს: 3. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხს: ბ. ხატიაშვილი
15.30სთ-დან 15.45 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 23 დეპუტატმა, მონაწილეობა არ მიიღო ზ.მამალაშვილმა და რ.ბოტკოველმა).

მოისმინეს: 4. საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დაყენებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ.

მომხს: პ. გიორგობიანი
15.45სთ-დან 16.00 სთ-მდე

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან შეხვედრების დროს დაყენებულ საკითხებზე რეაგირების შესახებ.

მოისმინეს: 5. „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და სახლების ნუმერაციის წესის დამტკიცების

შესახებ"თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №2 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

მომხს: ა.ბიწკინაშვილი

16.00სთ-დან 16.15 სთ-მდე

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (პროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე 23 დეპუტატმა, არ მიიღეს მონაწილეობა ზ.მამალაშვილმა და რ.ბოტკოველმა)

მოისმინეს: 6. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხს: ა. ბიწკინაშვილი

16.15სთ-დან 16.30 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: გიორგი აივაზაშვილი: მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიულ სამსახურს ვთხოვ შეისწავლოს და დაგვეხმაროს სანიორეში არსებული ნაურდალისა და დიდხევის სარწყავი არხების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოცემისა და დარეგისტრირების საქმეში.

პაატა გიორგობიანი: სარწყავი არხის ქსელების მესკუთრის პრობლემები სხვა სოფლებსაც აწუხებს. ვთხოვ ეს საკითი იურიდულმა სამსახურმა მუნიციპალიტეტის მასშტაბით შეისწავლოს და შესაბამისი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად ერთი თვის ვადაში წარადგინოს საკრებულოში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მოისმინეს: 7. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

მომხს: მ. შაშიაშვილი

17.00სთ-დან 17.15 სთ-მდე

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი